



სს ჭი-ი-სი

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კონსოლიდირებული

შინაარსი

გვერდი

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	3
საქმიანობის შედეგების უწყისი	4
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის უწყისი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

		2018	2017
	აბსნა- განმარტება		
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული საბანკო ანგარიშებზე	1	73,913	73,475
სავაჭრო მოთხოვნები		5,000	89,589
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		5,776	2,785
ავანსებზე გადახდილი დღგ		20,506	9,267
გადახდილი ავანსები	2	848,282	-
წინასწარ გაწეული ხარჯები		65,999	5,501
საქონელი		187,398	191
სულ მიმდინარე აქტივები		1,206,875	180,808
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		90,996	43,852
გრძელვადიანი მოთხოვნები		66	66
გრძელვადიანი ინვესტიციები		1,120	1,220
არამატერიალური აქტივები		352	754
სულ გრძელვადიანი აქტივები		92,534	45,892
მთლიანი აქტივები		1,299,408	226,700
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		101,210	104,730
მიღებული ავანსები		134,424	60,748
ვალდებულება პერსონალის მიმართ		493	3,292
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	3	65,268	-
გაცემულ ავანსზე მიღებული დღგ-ის ჩათვლა		129,399	-
გადასახდელი დღგ		-	620
ქონების გადასახადი		215	84
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	3	831,158	-
სულ ვალდებულებები		1,262,167	169,474
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		36,241	56,226
სულ საკუთარი კაპიტალი		37,241	57,226
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,299,408	226,700

დახტუდი კომენტაჰები წაჰმოადგენს ფინანსუჰი ანგაჰიშგების განუყოფელ ნაწილს

სს ჯი-ი-სი (კონსოლიდირებული ანგარიშგება)

საქმიანობის შედეგების უწყისი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2018
ახსნა-განმარტება	
საოპერაციო შემოსავლები	
საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურება	721,158
ტრენინგი	1,025
სულ საოპერაციო შემოსავლები	722,183
საოპერაციო ხარჯები	
განეული მომსახურების თვითღირებულება	
პირდაპირი ხელფასი	(441,320)
სხვა საოპერაციო ხარჯი	4 (40,262)
მიწოდების ხარჯი	(22,007)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	5 (170,235)
სულ საოპერაციო ხარჯი	(673,824)
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	
საპროცენტო შემოსავლები	466
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	7,660
კურსთა შორის სხვაობის მოგება/ზარალი	(75,796)
სულ არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	(67,670)
განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები	
ქონების გადასახადი	(674)
სულ განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები	(674)
ნმინდა მოგება (ზარალი)	(19,985)

დახუდი კომენტაჲები წაჲმოადგენს ფინანსუჲი ანგაჲიშგების განუყოფელ ნაწილს

სს ჯი-ი-სი (კონსოლიდირებული ანგარიშგება)

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2018 წლის საანგარიშო პერიოდი (ლარებში)

	2018
ნაღდი ფული წლის დასაწყისისათვის	73,475
საოპერაციო ფულადი ნაკადები	
საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი	(19,985)
ცვეთა	15,213
ცვლილება მიმდინარე აქტივებში	(1,002,406)
ცვლილება მიმდინარე ვალდებულებებში	196,267
სულ საოპერაციო ფულადი ნაკადები	(810,911)
საინვესტიციო ფულადი ნაკადები	
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(46,642)
სულ საინვესტიციო ფულადი ნაკადები	(46,642)
ფინანსური ფულადი ნაკადები	
გრძელვადიანი სესხის აღება	852,806
სულ ფინანსური ფულადი ნაკადები	852,806
სულ ფულადი ნაკადები	
სავალუტო გადაფასება	5,185
ნაღდი ფული საანგარიშო პერიოდის ბოლოს	73,913

დახმები კომენტარები წაიშორებენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს ჯი-ი-სი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

ზოგადი ინფორმაცია

სს ჯი-ი-სი (შემდგომში კომპანია) შექმნილია აქციონერთა სადამფუძნებლო კრებაზე 2010 წლის 21 სექტემბერს, 1994 წლის 28 ოქტომბერის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კომპანია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა საკონსულტაციო კვლევით და მმართველობითი მომსახურების საქმიანობას, მათ შორის:

1. საკონსულტაციო-საექსპერტო მომსახურების გაწევას;
2. კვლევების განხორციელებას;
3. გარე მართვის (აუტსორსინგის) მომსახურების გაწევას;
4. სპეციალური, პროფესიონალური და კორპორატიული ტრენინგების განხორციელებას;
5. პროექტების მართვის მომსახურებას.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, გამრეკელის ქ, კორპუსი 1 ბ/8.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წარდგენის საფუძველი

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდს 2017 წლის 31 დეკემბერი და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების პრინციპებით, ქვეყანაში არსებული აღრიცხვის წესებითა და ორგანიზაციის შიდა ფინანსური დებულებით.

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი საფუძველია ბასს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

ორგანიზაცია აღრიცხვის ოპერაციებს აწარმოებს ფინანსური აღრიცხვის ლიცენზირებული პროგრამის “ორის ბუღალტერიის” მეშვეობით.

ფულადი სახსრები

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ოპერაციები წარმოებდა როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი და ევრო). უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები წარმოდგენილია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის კურსი ლართან მიმართებაში 2018 წლის 31 დეკემბრისთვის:

	31.12.2018
აშშ დოლარი/ლარი	2.6766
ევრო/ლარი	3.0701

სს ჯი-ი-სი ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებად მიიჩნევა აქტივი რომლის სასარგებლო გამოყენების (ექსპლუატაციის) ვადა აღემატება ერთ წელს. საწყისი ისტორიული ღირებულება მოიცავს შესყიდვის საფასურს, ამოუღებელ გადახდილ გადასახადებს და იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში გაშვებასთან.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნარჩენი ღირებულებით, ისტორიული ღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთა.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებას.

ცვეთის გაანგარიშების მიზნით კომპანია იყენებს წრფივი დარიცხვის მეთოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადა ჯგუფების მიხედვით განსაზღვრულია შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობა - 50 წელი

ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი - 5-7 წელი

სხვა ძირითადი საშუალებები - 3-5 წელი

ორგანიზაციის მიერ ფინანსური და ადმინისტრაციული დებულების შესაბამისად ტარდება ინვენტარიზაცია და ყველა ძირითადი საშუალება მარკირებულია.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ორგანიზაციის შემოსავალი ძირითადად ყალიბდება საკონსულტაციო და ტრენინგ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია ეკონომიკური ელემენტების ან დანიშნულების მიხედვით.

ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები აისახება დარიცხვის მეთოდით.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნებად ორგანიზაცია აღიარებს იმ თანხებს რომლებიც კლიენტს აქვს დარჩენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მოკლევადიან მოთხოვნებზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა. ორგანიზაციას არ აქვს შედგენილი რეზერვები საეჭვო მოთხოვნებისათვის, ვინაიდან მათი კლიენტები არიან მსხვილი კომპანიები და დებიტორული დავალიანების შეგროვების მაჩვენებელი წარმოადგენს 100%-ს.

წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები მოიცავს საგადასახადო ზედმეტობას, გადახდილ ქირას, ორგანიზაციის ვებ-გვერდის დომენის საფასურს, და სხვა უმნიშვნელო წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

საქონელი

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომსახურების გაწევა. ამასთან, კომპანია გახდა ERP (Enterprise Resource Planning) სისტემების დამწერგავი კომპანიის IFS APPLICATIONS-ის ოფიციალური წარმომადგენელი

სს ჯი-ი-სი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

საქართველოში. მსგავსი სისტემების დანერგვის ფარგლებში, კომპანია ახორციელებს ლიცენზიების შესყიდვას, რომელთა, საბოლოო ბენეფიციარისათვის მიწოდებამდე, აღიარება ხორციელდება როგორც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის.

მიღებული ავანსები

მომსახურების მიწოდების ფარგლებში ავანსად მიღებული ფულადი რესურსის შემოსავლად აღიარება ხორციელდება მომსახურების გაწევის და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად.

მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება

სს ჯი-ი-სი წარმოადგენს საკონსულტაციო და ბიზნესის განვითარების მომსახურების მწარმოებელ კომპანიას, შესაბამისად მიწოდებული მომსახურების თვითღირებულების ძირითად კომპონენტს შეადგენს პირდაპირი ხელფასები-ანაზღაურება გაცემული კომპანიის თანამშრომლებზე პროექტის ფარგლებში გაწეულ შრომაზე, რომლის გაანგარიშება ხდება კომპანიის ხელფასის რეგულაციის მიხედვით. ამ ჯგუფში აგრეთვე შედის იმ მასალების მომზადების ხარჯები, რომელიც უშუალოდ საჭიროა პროექტების განსახორციელებლად (მაგალითად მასალების ბეჭვდა) და ქვეკონტრაქტორების მომსახურების საფასური, რომლებიც ჩართულნი არიან პროექტების განხორციელებაში.

მიწოდების ხარჯები

ეს ჯგუფი მოიცავს მივლინების და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომელიც არის აუცილებელი კომპონენტი კომპანიის საქმიანობაში და უშუალო ნაწილი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტებისა.

ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის ადმინისტრაციულ ხელფასებს, იჯარის ქირას, მცირე ღირებულების საოფისე ინვენტარს, რომელიც იხარჯება საოპერაციო პერიოდში, ოფისის ინტერნეტით უზრუნველყოფას, პერიოდულ უმნიშვნელო შენაძენებს რემონტისთვის, ძირითადი საშუალებების ცვეთას, კომუნალურ გადასახადებს, ბანკის მომსახურების და სხვა საერთო ხარჯებს.

გადასახადები

ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია პერსონალის, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირებისა და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული არარეზიდენტის პირების მიმართ, დაუკავოს მათ საშემოსავლო გადასახადი და გადაიხადოს ბიუჯეტში.

ორგანიზაცია ვალდებულია გადაიხადოს მოგების გადასახადი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგ.: დაუდასტურებელი ხარჯები, არაეკონომიკური მიზნებისათვის გაწეული ხარჯები და ა.შ.), რაც

სს ჯი-ი-სი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

იბეგრება 15%-ანი განაკვეთით. ასევე, ორგანიზაცია ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე გადაიხადოს ქონების გადასახადი მისი საშუალო ნარჩენი საბალანსო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

1. ფულადი სახსრები

ორგანიზაციის ფულადი სახსრები 2018 წლის 31 მდგომარეობით (ლარში):

	2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	52,831
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	21,082
სულ	73,913

2. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსების თანხა 848,282 ლარი, წარმოადგენს გადახდილი თანხას შპს მ2 მელიქიშვილისათვის კომპანიისათვის ოფისის მშენებლობისათვის მელიქიშვილის გამზირზე. ვინაიდან ოფისის გადმოცემა კომპანიისთვის განხორციელდება მშენებლობის დასასრულს, გადახდილი თანხა აღიარებულ იქნა მომწოდებელზე გადახდილ ავანსად.

3. სესხი

2018 წლის მაისში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მელიქიშვილის გამზირზე მშენებარე კორპუსში (მშენებლობას ახორციელებს შპს მ2 მელიქიშვილი) ოფისის შესყიდვა, რისთვისაც კომპანიამ აიღო 345,000 აშშ დოლარის მოცულობის გრძელვადიანი 10 წლიანი სესხი სს თიბისი ბანკში. საპროცენტო განაკვეთი ამ ეტაპზე შეადგენს 7.65%-ს.

4. სხვა საოპერაციო ხაზები

სხვა საოპერაციო ხაზები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018
ქვეკონტრაქტორისთვის გამოყოფილი თანხები	32,834
სხვა	7,429
სულ:	40,262

სს ჯი-ი-სი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში):

	2014
შრომის ანაზღაურება	23,625
საიტარო ქირა	38,130
საოფისე ინვენტარი	596
კომუნიკაციის ხარჯები	5,298
თანამშრომელთა დაზღვევა	26,014
რემონტი	729
კომპიუტერის ხარჯები	479
ცვეთა და ამორტიზაცია	15,213
მარკეტინგული ხარჯები	27,529
სხვა საერთო ხარჯი	31116
სულ	168,729

6. საწახმოს ფუნქციონირებადობა

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ გეგმავს ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტას ან საქმიანობის მასშტაბის არსებით შემცირებას. ასევე არ არსებობს სხვა რაიმე გარემოება რომელიც საეჭვოს გახდიდა ორგანიზაციის უნარს გააგრძელოს ფუნქციონირება უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ორგანიზაცია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით..
